



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 16 ივლისი, 2020 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
2. ნუგზარ კობხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
3. ია თიკანაძე - ებერტის ფონდი
4. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
5. ნინო დიდბერიძე - საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაცია

განსახილველი საკითხები:

1. შრომის რეფორმის საკითხების განხილვა
2. პოზიციის დოკუმენტის დამტკიცება
3. ფორუმის მიმდინარე საკითხები - მეხუთე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში
4. პროგრამული მხარდაჭერის განხორციელების საკითხი
5. სხვა მიმდინარე საკითხები

მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, თამარ გაბისონიამ. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად, მეხუთე ჯგუფის კოორდინატორმა, თამარ გაბისონიამ, დეტალურად განიხილა შრომის რეფორმის საკითხები. მიმდინარე რეფორმის პროცესში აქტიურად იყო ჩართული პროფესიული კავშირების გაერთიანება, შესაბამისად მან დეტალური ინფორმაცია მიაწოდა იმ საკითხებზე, რომლებიც კვლავ პრობლემატური რჩება, და ასევე ისაუბრა იმ პოზიტიურ ცვლილებებზე, რომელიც ნამდვილად ხელს შეუწყობს უკეთესი შრომითი პირობების შექმნას და ჩამოყალიბებას ქვეყანაში.

კოორდინატორმა ისაუბრა ჯგუფის წევრებისთვის გაგზავნილ პოზიციის დოკუმენტზე, რომელიც წარმოადგენს სამუშაო ვერსიას და შეეხება შრომისა და მის თანმდევ ურთიერთობებში ძირეული რეფორმების გატარების საკითხს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან და შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. შეხვედრის მიმდინარეობის პროცესში, დეტალურად იქნა განხილული დოკუმენტი. დოკუმენტი საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და დამტკიცდა მეხუთე სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

ჯგუფის კოორდინატორებმა ისაუბრეს ეროვნული პლატფორმის მიმდინარე პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამული მხარდაჭერის საკითხზეც. თამარ გაბისონია იყო იმ შემფასებელი კომისიის წევრი, რომელსაც დაევალა განაცხადების განხილვა, შესაბამისად მან დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ჯგუფის წევრებს პროგრამული მხარდაჭერის პირველ ეტაპზე, რომელიც დასრულდა და რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 4 კუალიციური პროექტი. კოორდინატორებმა ინფორმაცია მიაწოდეს ასევე პროგრამული მხარდაჭერის გამოცხადების მეორე ეტაპზე, რომელიც უახლოეს დღეებში გამოცხადდება და მეხუთე სამუშაო ჯგუფის წევრებს, აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდეს.

მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მოკლედ მიმოიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის, მეხუთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები ჯგუფის კოორდინატორები.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე